



საცხოვრებელი

ჰოსპის ჟენერალის საცხოვრებელი

ხართ ახალი ჩამოსული ჟენევაში და ხართ ჰოსპის ჟენერალის (HG) ბენეფიციარი. გაქვთ შეკითხვები თქვენი საცხოვრებლის შესახებ? ეს დოკუმენტი გაძლევთ პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

- როგორია ჟენევაში არსებული მდომარეობა საცხოვრებელზე?
- როგორ ხდება ჟენევაში ჩამოსვლის დროს? ვინ იხდის ქირას?
- რამდენს შეადგენს თანხა ჰოსპის ჟენერალის მონაწილეობით საცხოვრებლის ქირაში?
- იხდის თუ არა ჰოსპის ჟენერალი WIFI-ს, ტელევიზიის, ტელეფონის თანხებს?
- რა არის Serafe-ს საფასური.
- თუ მე კერძო იჯარაში ვარ ან ვინმეს ოჯახთან ვცხოვრობ, მჭირდება კერძო საყოფაცხოვრებო დაზღვევის (RC) აღება?
- როგორ უნდა მოვიქცე, საერთო საცხოვრებლიდან ჰოსპის ჟენერალის კერძო საცხოვრებელში გადასვლისთვის?
- როგორ უნდა მოვიქცე თუ მაქვს საბუთი F ან B, ჰოსპის ჟენერალის სისტემის დახმარების გარეშე საცხოვრებლად?

როგორია ჟენევაში არსებული მდომარეობა საცხოვრებელზე?

ჟენევის კანტონი, სხვა კანტონებისგან განსხვავებით, განიცდის ბინადრობის ნაკლებობას და მრავალი ადამიანი ელოდება საცხოვრებელს, მათ შორის ჟენევის მკვიდრნი.

უნდა იცოდეთ, რომ ჟენევაში საკუთარი საცხოვრებლის მფლობელი ბევრი არ არის. ადამიანების უმეტესობა არიან ქირით, ყოველთვიურად იხდიან ქირას და კომუნალურ მომსახურებას.

როგორ ხდება ჟენევაში ჩამოსვლის დროს? ვინ იხდის ქირას?

ჰოსპის ჟენერალი არის დასახმარებლად, რათა შემოგთავაზოთ საცხოვრებელი ჩამოსვლისთანავე.

თუ თქვენ უკვე გაქვთ ღამის გასათევი ადგილი, ამ შემთხვევაში არაა პრობლემა! გააცანით სოციალურ მუშაკს, რომელსაც თქვენ შეხვდებით და ისინი გეტყვიან რა უნდა მოიქცეთ!

თუ არ გაქვთ ღამის გასათევი ადგილი, ამ შემთხვევაში მოგცემენ მას საერთო საცხოვრებელში. თქვენ იქნებით ტრანსპორტით უზრუნველყოფილი ბუშეტის ცენტრიდან ადგილზე მისასვლელად.

საერთო საცხოვრებლის ცენტრებში შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ ჰოსპის ჟენერალში. კოლექტიური ჩარევის შედეგად, იქ მყოფი სოციალური მუშაკები შემოგთავაზებენ სხვადასხვა საქმიანობას, ინტეგრაციისა და საერთო საცხოვრებლის ცენტრში ჰარმონიის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ასევე იქნებიან სოციალური მმართველები, რომლებიც დაგეხმარებიან გაგაცნონ ყოველდღიური შიდასამუშაოები ობიექტის კეთილმოწყობისთვის და აგიხსნიან, თუ როგორია ცენტრის შიგნით მაცხოვრებლების მონაწილეობა.

შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, არ მოგერიდოთ კითხვების შემთხვევაში, საერთო საცხოვრებლის ცენტრში მომუშავე გუნდთან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად!

ვინ გადაიხდის ქირას?

თუ თქვენ არ ხართ ჰოსპის ჟენერალის სისტემის დაქვემდებარებაში, თავად უნდა გადაიხადოთ ქირა და კომუნალური მომსახურება.

ჰოსპის ჟენერალი ამ შემთხვევაში არ ერევა ამ გარიგებაში, რადგან თქვენ ხელს აწერთ ქირაობის ან ქვესაქირავებლო ხელშეკრულებას თქვენი სახელით უშუალოდ გამქირავებელთან ან მასპინძელ ოჯახთან, ასე რომ, თქვენ ხართ პასუხისმგებელი



ქირის გადახდაზე ხოლო ეს თანხა აგინაზღაურდებათ მტკიცებულებების საფუძველზე ყოველთვიურად.

რამდენს შეადგენს თანხა საცხოვრებლისთვის, ჰოსპის ჟენერალის მონაწილეობით?

საცხოვრებელი იჯარით ჰ.ჟ.-ის გარეშე (საბუთი N- F- B) :

- თუ თქვენ განთავსებული ხართ კერძო სააგენტოს მეშვეობით: ჰოსპის ჟენერალი ქირის გადახდაში მონაწილეობს განსაზღვრული მასშტაბების მიხედვით (იხ. ცხრილი)
- თუ საცხოვრებელი არის თქვენთვის გამოყოფილი: ჰოსპის ჟენერალი ქირის გადახდაში მონაწილეობს განსაზღვრული მასშტაბების მიხედვით (იხ. ცხრილი)

გათვალისწინეთ ! მონაწილეობაში თანხის ოდენობა განისაზღვრება თქვენი სტატუსის მიხედვით

გამოყოფილი მაქსიმალური თანხა საცხოვრებლის ქირისათვის ჰოსპის ჟენერალის გარეშე		
პირთა რაოდენობა	ფინანსური შენატანი ქირის და ხარჯების, ბენეფიციარის მიერ გაფორმებული საიჯარო ან ქირაობის ხელშეკრულებაში	
	საბუთი N/F	საბუთი F/B ლტოლვილი
1 ადამიანზე	CHF 800.00	CHF 1100.00
2 ადამიანზე	CHF 1000.00	CHF 1300.00
3 ადამიანზე	CHF 1200.00	CHF 1500.00
4 ადამიანზე	CHF 1400.00	CHF 1650.00
5 ადამიანზე	CHF 1600.00	CHF 1800.00
6 ადამიანზე	CHF 1800.00	CHF 1950.00

* 6 ადამიანზე მეტის შემთხვევაში, გათვალისწინებული თანხა განისაზღვრება სიტუაციის ყველა ელემენტის საფუძველზე, მაშინაც კი, როდესაც ფაქტობრივი ქირა უფრო მაღალია, ვიდრე დასაშვები მაქსიმუმი.



ბინის ან ოთახის თანაგირავნობის შემთხვევაში, საცხოვრებლის პირობები რეგულალურად გადამოწმდება რათა დაცული იყოს თანაცხოვრების ურთიერთპატივისცემის წესები.

იხდის თუ არა ჰოსპის ჟენერალი WIFI-ს, ტელევიზიის, ტელეფონის თანხებს?

ჰ.ჟ. არ იხდის თანხას მედიასაშუალებებისთვის.

ეს თანხები შედის დახმარების სტანდარტებში ან ქირაში გადახდილი ფიქსირებულ გადასახადებში.

რა არის Serafe-ს საფასური.

სერაფეს საფასური გამოიყენება ადგილობრივი რადიოსა და რეგიონალური სატელევიზიო პროგრამების დასაფინანსებლად. თუ თქვენს სახლში არ არის ტელევიზია ან რადიო, არ გჭირდებათ გადასახადის გადახდა.

ყველა სხვა შემთხვევაში, ყოველწლიური სერაფეს გადასახადი არის თქვენი გადასახდელი. სერაფეს გადახდა არ ვრცელდება საერთო საცხოვრებელ ცენტრში მცხოვრებ ადამიანებზე მხოლოდ ჰ.ჟ. - ის ინდივიდუალურ განსახლებაში მყოფი პირებისთვის.

თუ მე კერძო იჯარაში ვარ ან ვინმეს ოჯახთან ვცხოვრობ, მჭირდება კერძო საყოფაცხოვრებო დაზღვევის (RC) აღება?

თუ თქვენ ფინანსურად დამოკიდებული ხართ ჰოსპის ჟენერალზე და ცხოვრობთ ასევე მათ მიერ გამოყოფილ საცხოვრებელში ან ვინმე სხვა პირის მისამართზე, ავტომატურად ხართ დაზღვეული საერთო სამოქალაქო საპასუხისმგებლო და საყოფაცხოვრებო დაზღვევით, რომელთანაც ჰ.ჟ.-ს აქვს გაფორმებული კონტრაქტი.

თუ აღარ ხართ ჰ.ჟ.-ს მეთვალყურეობის ქვეშ, მიუხედავად თქვენი სტატუსისა, მაინც რჩებით დაზღვეული შემდეგ სიტუაციებში:

- ჰ.ჟ.-ის საცხოვრებელი: მანამდე სანამ თქვენ ცხოვრობთ ამ საცხოვრებელში.
- თუ თქვენი საცხოვრებელი არ არის ჰ.ჟ.-დაქვემდებარებაში: მიმდინარე კალენდარული წლის ბოლომდე. შემდეგ მოგიწევთ კერძო საყოფაცხოვრებო დაზღვევის თქვენს სახელზე გაფორმება.



როგორ უნდა მოვიქცე, სერთო საცხოვრებლიდან, ჰოსპის ჟენერალის კერძო საცხოვრებელში გადასვლისთვის?

ინდივიდუალური საცხოვრებლის მოთხოვნის ფორმა ხელმისაწვდომია კოლექტიური განსახლების ცენტრებში ან ადმინისტრაციულ ერთეულებში. ეს ფორმა გაძლევთ ინფორმაციას და დოკუმენტებს, რომლებიც აუცილებელია განაცხადის ფაილის შესაქმნელად.

როგორ უნდა მოვიქცე თუ მაქვს საბუთი F ან B, ჰოსპის ჟენერალის სისტემის დახმარების გარეშე საცხოვრებლად?

2 წლის განმავლობაში ჟენევაში ცხოვრების შემდეგ, მოგიწევთ ჰ.ჟ-ის დახმარების გარეშე საცხოვრებლის მოძებნა. ამისათვის უნდა დარეგისტრირდეთ კანტონის საბინაო ოფისისა და უძრავი ქონების სამდივნო განყოფილებაში.

თქვენ ასევე უნდა წარადგინოთ საბინაო შემწეობის მოთხოვნა კანტონის საბინაო ოფისისა და უძრავი ქონების სამდივნო განყოფილებაში და წარადგინოთ შესაბამისი ატესტატი, რომელიც გაიცემა ჰოსპის ჟენერალის მიერ.

უძრავი ქონების ფონდების სამდივნო საზოგადოებრივი სამართლის საფუძველზე (SFIDP)

Av. de Sainte-Clotilde 11-1205 Genève

